

ინსტრუქციები 2019 წლის მწვანე ბარათის საიმიგრაციო ვიზის გათამაშების პროგრამაში მონაწილეობის მიღების მსურველთათვის

იმიგრაციისა და მოქალაქეობის აქტის (INA) 203-ე (g) ნაწილში გათვალისწინებული პირობების შესაბამისად არსებული საიმიგრაციო ვიზის გათამაშების პროგრამა ხორციელდება ყოველწლიურად სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. 1990 წელს გამოცემული იმიგრაციის აქტის 131-ე ნაწილის მიხედვით (Pub. L. 101-649) იმიგრაციისა და მოქალაქეობის აქტის (INA) 203-ე ნაწილში შესწორება შევიდა, რომლის მიხედვითაც გათვალისწინებულია აშშ ახალი გიპის იმიგრანტების მიღება რომლებსაც Diversity Visa (DV) უწოდებენ. ამ საკანონმდებლო აქტის შესაბამისად იმ ქვეყნების მოქალაქეებისათვის, საიდანაც აშშ-ში ნაკლებად შედიან იმიგრანტები, ყოველწლიურად გაიცემა აშშ-ში მუდმივი ცხოვრების უფლების მიმნიჭებელი 50000 ვიზა.

ყოველწლიური საიმიგრაციო პროგრამის საშუალებით აშშ-ში მუდმივი ცხოვრების უფლების მიმნიჭებელ ვიზებს იღებენ ის პირები, რომლებიც პროგრამის მონაწილეთათვის გათვალისწინებულ მარტივ, მაგრამ მკაცრად განსაზღვრულ პირობებს აკმაყოფილებენ. **განმცხადებლები საიმიგრაციო ვიზების მისაღებად შეირჩევიან კომპიუტერული ლაგარის მიხედვით - შემთხვევითი შერჩევის პრინციპით.** ვიზები ნაწილდება ექვსი გეოგრაფიული რეგიონის მიხედვით. ვერცერთი ქვეყანა (თითოეული რეგიონის ფარგლებში) წელიწადში ვერ მიიღებს მთელი საიმიგრაციო ვიზების რაოდენობის შვიდ პროცენტზე მეტს.

საიმიგრაციო ვიზების 2019 წლის გათამაშებაში მონაწილეობის უფლება არ აქვთ ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნების წარმომადგენლებს, რადგან ამ ქვეყნებიდან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 50000-ზე მეტი იმიგრანტი ჩავიდა აშშ-ში. ეს ქვეყნებია:

ბანგლადეში, ბრაზილია, კანადა, ჩინეთი (კონგინენგზე დაბადებულები), კოლუმბია, ლომინიკის რესპუბლიკა, ელ სალვადორი, ჰაიტი, ინდოეთი, იამაიკა, მექსიკა, პაკისტანი, ფილიპინები, პერუ, კორეის რესპუბლიკა, დიდი ბრიტანეთის გაერთიანებული სამეფო (ჩრდილოეთ ირლანდიის გარდა) ასევე, მასზე დამოკიდებული ტერიტორიები და ვიეგნამი. ჰონგ-კონგისა და მაკაუს სპეციალურ ადმინისტრაციულ რეგიონებსა და გაიფანში დაბადებულ პირებს ამ გათამაშებაში მონაწილეობის უფლებამოსილი არიან.

2019 წლის მწვანე ბარათის ლაგარიაში მონაწილეობის უფლება გააჩნია: გვაგემალას

მოთხოვნები განმცხადებლებისათვის:

მოთხოვნა #1: განმცხადებელი უნდა იყოს დაბადებული გათამაშებისთვის კვალიფიცირებულ ქვეყანაში.

თუ პიროვნება დაბადებულია ქვეყანაში, რომლის მოქალაქეებისგანაც განაცხადები არ მიიღება, მას აქვს განაცხადის გამოგზავნის უფლება ორ სხვა შემთხვევაში:

- იმ შემთხვევაში თუ განმცხადებლის მეუღლე დაბადებულია ქვეყანაში, რომლის მოქალაქეებსაც გათამაშებაში მონაწილეობის მიღების უფლება აქვთ, მაშინ განმცხადებელს შეუძლია მიუთითოს მეუღლის დაბადების ქვეყანა იმ პირობით, თუ განმცხადებელი და მისი მეუღლე ერთდროულად მიიღებენ ვიზებს და ერთდროულად გაემგზავრებიან აშშ-ში.
- განმცხადებელს შეუძლია მიუთითოს ქვეყანა, სადაც მისი რომელიმე მშობელი დაიბადა, თუკი ეს ქვეყანა შედის იმ ქვეყანათა სიაში, რომლის მოქალაქეებსაც 2019 წლის გათამაშებაში მონაწილეობის მიღების უფლება ენიჭებათ.

მოთხონა #2:

განმცხადებელი უნდა აკმაყოფილებდეს განათლების ან სამუშაო გამოცდილების შემდეგ მოთხონებს:

- განმცხადებელს დამთავრებული უნდა ჰქონდეს საშუალო სკოლა ან ისეთი სასწავლო დაწესებულება, რომლის სერტიფიკატი საშუალო სკოლის ატესტაციის გოლფასია - და, რომელიც განისაზღვრება 12-წლიანი დაწყებითი და საშუალო განათლების კურსის წარმატებით დასრულებით.

ან

- ბოლო ხუთი წლიდან ორი წლის განმავლობაში მუშაობდეს ისეთი პროფესიით, რომელსაც სჭირდება მინიმუმ ორწლიანი სწავლების გავლა ან ორწლიანი სამუშაო გამოცდილება. აშშ-ის შრომის დეპარტამენტის "[O*Net OnLine](#)" მონაცემთა ბაზის მეშვეობით შეგიძლიათ საკვალიფიკაციო სამუშაო გამოცდილების დადგენა.

თუ განმცხადებელი გემოწამოთვლილ მოთხონებს არ აკმაყოფილებს, მაშინ მან ამ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად განაცხადი არ უნდა შემოიგნოს.

სარეგისტრაციო პერიოდი

2019 წლის მწვანე ბარათის გათამაშების სარეგისტრაციო პერიოდია 2017 წლის 3 ოქტომბრის 20:00 საათიდან (თბილისის დროით) 2017 წლის 7 ნოემბრის 20:00 საათამდე (თბილისის დროით). მწვანე ბარათის გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად ყველა განაცხადი უნდა შეივსოს ელექტრონულად შემდეგ მისამართზე: www.dvlottery.state.gov განმცხადებლებს ვურჩევთ, განაცხადები სარეგისტრაციო პერიოდის დასაწყისშივე შემოიგნონ, რადგან სარეგისტრაციო პერიოდის ბოლოს, დიდი მოთხონის გამო სისტემის მუშაობა შეიძლება საგრძნობლად შენედეს.

კანონონმდებლობის თანახმად, ყოველ განმცხადებელს შეუძლია შემოიტანოს მხოლოდ ერთი განაცხადი ყოველი სარეგისტრაციო პერიოდის განმავლობაში. **განმცხადებლები, რომლებსაც შემოტანილი ექნებათ ერთზე მეტი განაცხადი, ექვემდებარებიან ავტომატურ დისკვალიფიკაციას.**

2019 წლის მწვანე ბარათის გათამაშების პროგრამაში მონაწილეობის მისაღები განაცხადის შეტანის პროცედურა:

მწვანე ბარათის გათამაშების პროგრამაში მონაწილეობის მისაღები განაცხადი ივსება მხოლოდ ელექტრონულად, შემდეგ მისამართზე: www.dvlottery.state.gov. დაუსრულებელი განაცხადი არ მიიღება. განაცხადის შეტანა უფასოა.

განმცხადებლებს ვურჩევთ განაცხადები შეავსონ პირადად, „ვიზა აგენტების“ ან „ვიზა კონსულტანტების“ დახმარების გარეშე. თუ ვინმე გეხმარებათ განაცხადის შევსებაში, პირადად დაესწარით განაცხადის შევსებას, შეინახეთ განაცხადის დასტურის გვერდი და უნიკალური დასტურის ნომერი. ამ ინფორმაციის გარეშე თქვენ ვერ შეძლებთ სისტემაში შესვლას და თქვენი განაცხადის სტატუსის შემოწმებას. აგრეთვე, განმცხადებლებმა უნდა შეინარჩუნონ წვდომა განაცხადში მითითებულ ელ. ფოსტის მისამართზე. მწვანე ბარათის პროგრამასთან დაკავშირებული თაღლითობის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის იხილეთ ხშირად დასმული შეკითხვების გვერდზე.

განაცხადის სრულად შევსების და გადმოგზავნის შემდეგ, ეკრანზე უნდა გამოჩნდეს მისი მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელზეც იქნება აღნიშნული განმცხადებლის სახელი, გვარი, დაბადების თარიღი და უნიკალური დასტურის ნომერი. გთხოვთ, შეინახოთ ან ამობეჭდოთ ბემოსხენებული დამადასტურებელი დოკუმენტი. 2018 წლის 1 მაისიდან თქვენ შეძლებთ თქვენი განაცხადის სტატუსის შემოწმებას ვებ-გვერდზე www.dvlottery.state.gov თუ შეხვალთ DV-2019 წლის *Entrant Status Check* განყოფილებაში და შეიყვანთ თქვენთვის მინიჭებულ უნიკალურ ნომერს. აშშ-ის მთავრობა პირადად არ გამოგიგზავნით ინფორმაციას. სტატუსის შემოწმება არის ძირითადი ინფორმაციის წყარო თქვენი განაცხადის შესახებ. სტატუსის შემოწმებით შესაძლებლობა გექნებათ მიიღოთ ინსტრუქციები თუ როგორ უნდა იმოქმედოთ გათამაშებაში მოგების შემთხვევაში და, ასევე, გაიგოთ საკონსულოში დანიშნული გასაუბრების თარიღი. შერჩევის პროცესის შესახებ მეტი ინფორმაციისთვის, გთხოვთ, იხილოთ ხშირად დასმული შეკითხვები გვერდზე.

მწვანე ბარათის გათამაშების პროგრამაში მონაწილეობის მისაღები განაცხადის შევსებისთვის აუცილებელია შემდეგი ინფორმაციის მითითება:

1. გვარი, სახელი - პასპორტის მიხედვით
2. სქესი - მამრობითი ან მდედრობითი
3. დაბადების თარიღი - დღე, თვე, წელი
4. დაბადების ქალაქი
5. დაბადების ქვეყანა - ქვეყნის დასახელება უნდა შეესაბამებოდეს იმ დასახელებას, რომელიც ამჟამად ეწოდება ქვეყანას, რომელშიც განმცხადებელი დაიბადა.

6. მწვანე ბარათის გათამაშებაში მონაწილე ქვეყანა (Country of eligibility for the DV program) - უმეტეს შემთხვევებში თქვენი გათამაშებაში მონაწილე ქვეყანა იქნება თქვენი დაბადების ქვეყანა. თუ დაბადებული ხართ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეებსაც გათამაშებაში მონაწილეობის მიღების უფლება არა აქვთ, გთხოვთ, გაეცნოთ ინფორმაციას გათამაშებაში მონაწილეობის მისაღებად სხვა გზების შესახებ, ხშირად დასმული შეკითხვების გვერდზე.

7. განმცხადებლის ფოტოსურათი - განმცხადებლის, მისი მეუღლისა და 21 წლამდე ასაკის შვილების ბოლო ექვსი თვის განმავლობაში გადაღებული ფოტოსურათები. არ ხართ ვალდებული წარმოადგინოთ იმ ოჯახის წევრთა ფოტოსურათები, რომელნიც არიან აშშ-ის მოქალაქეები ან მწვანე ბარათის მფლობელები.

წარმოდგენილი ციფრული ფოტოსურათის კომპოზიციური და ტექნიკური მოთხოვნების გასაგებად ეწვიეთ შემდეგ შესაბამის გვერდს.

ჯგუფური ფოტოსურათები არ მიიღება; უნდა იყოს წარდგენილი თითოეული განმცხადებლის ფოტოსურათი. იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებლის წარმოდგენილი ფოტოსურათი არ შეესაბამება გათამაშების მოთხოვნებს, განაცხადი იქნება გაუქმებული.

8. საფოსტო მისამართი - მისამართი

ქალაქი/სოფელი

რაიონი/პროვინცია/შტატი

საფოსტო ინდექსი/ზიპ კოდი

ქვეყანა

9. ქვეყანა სადაც ამჟამად ცხოვრობთ

10. ტელეფონის ნომერი (არ არის აუცილებელი)

11. ელ. ფოსტის მისამართი - წარმოადგინეთ თქვენი ელ. ფოსტის მისამართი, რომელზეც გექნებათ წვდომა გათამაშების შედეგების გამოცხადების დროს, მომდევნო წლის მაისში. თუ გათამაშებაში გაიმარჯვებთ და Entrant Status Check - სტატუსის შემოწმების გვერდიდან გაგზავნით პასუხს, ელ.ფოსტაზე მოგივით შემდგომი კომუნიკაცია სახელმწიფო დეპარტამენტიდან, სადაც შეგატყობინებენ, რომ თქვენი საიმიგრაციო ვიზის გასაუბრების დეტალები ხელმისაწვდომია Entrant Status Check გვერდზე. სახელმწიფო დეპარტამენტი არასდროს მოგწერთ ელ.ფოსტით, რომ გაიმარჯვებთ მწვანე ბარათის გათამაშების პროგრამაში. იხილეთ ხშირად დასმული შეკითხვების გვერდი მეტი ინფორმაციისთვის.

12. თქვენი განათლების ხარისხი დღეის მდგომარეობით. უნდა მიუთითოთ, რომელი შეესაბამება თქვენი განათლების ყველაზე მაღალ დონეს (1) დაწყებითი განათლება, (2) საშუალო სკოლა ატესტატის გარეშე, (3) საშუალო სკოლა ატესტატით, (4) პროფესიული ტექნიკური განათლება, (5) არასრული უმაღლესი განათლება, (6) დიპლომირებული უმაღლესი განათლება, (7) ასპირანტურა, (8) მაგისტრატურა, (9) დოქტორანტურა, (10) პროფესორი. განათლების მოთხოვნების შესახებ მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ხშირად დასმული შეკითხვების გვერდს.

13. ოჯახური მდგომარეობა - (1) არ არის დაქორწინებული, (2) დაქორწინებული და მეუღლე არ არის აშშ-ის მოქალაქე ან მწვანე ბარათის მფლობელი, (3) დაქორწინებული და მეუღლე არის აშშ-ის მოქალაქე ან მწვანე ბარათის მფლობელი, (4) განქორწინებული, (5) ქვრივი, აუცილებელია მიუთითოთ მეუღლის სრული სახელი, დაბადების თარიღი, სქესი, დაბადების ქალაქი, დაბადების ქვეყანა და ფოტოსურათი, რომელიც შეესაბამება გათამაშების მოთხოვნებს.

განმცხადებელმა აუცილებლად უნდა მიუთითოს ოფიციალური მეუღლე, წინააღმდეგ შემთხვევაში განაცხადი გაუქმდება და განმცხადებლის საიმიგრაციო საქმეში არსებული ყველა განაცხადი ვიზის გაცემამდე უარყოფილი იქნება გასაუბრების დროს. მეტი ინფორმაციისათვის ოჯახის წევრების მითითების შესახებ იხილეთ ხშირად დასმული შეკითხვების გვერდი.

14. მონაცემები შვილების შესახებ - სახელი, გვარი, დაბადების თარიღი, სქესი, დაბადების ადგილი (ქალაქი/სოფელი), დაბადების ადგილი (ქვეყანა), ფოტოსურათი. განაცხადში მითითებული უნდა იყოს განმცხადებლის 21 წლამდე დასაოჯახებელი ბიოლოგიური და აყვანილი შვილების, გერების ინფორმაცია (იმ შვილების გარდა რომლებიც არიან აშშ-ის მოქალაქეები ან აშშ-ის მუდმივი ცხოვრების უფლება აქვთ) იმ შემთხვევაშიც კი თუ განმცხადებელი შვილის მეორე მშობელთან ოფიციალურად აღარ იმყოფება ქორწინებაში, ან თუ მისი მეუღლე და შვილი აღარ ცხოვრობს მასთან ერთად და/ან არ აპირებს მასთან ერთად იმიგრაციას.

დაოჯახებული შვილები და შვილები, რომლებიც უკვე 21 წლის ან მეტის არიან არ არიან კვალიფიციურნი, თუმცა ბავშვთა სტატუსის დაცვის კანონით დაშვებულია გამოჩაკლისები რიგ შემთხვევებში: თუ თქვენ განაცხადს შეიგანთ მანამდე, სანამ თქვენი დასაოჯახებელი შვილი 21 წლის გახდება ან თუ ბავშვი გახდება 21 წლის ვიზის გაცემამდე შესაძლებელია, სავიზო პროცედურებისათვის ის ჩაითვალოს 21 წელს ქვემოთ ასაკის მქონედ.

თუ თქვენ არ წარადგენთ სავალდებულო ინფორმაციას შვილ(ებ)ის შესახებ ეს გამოიწვევს თქვენს დისკვალიფიკაციას. დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ხშირად დასმული შეკითხვების გვერდი.

განმცხადებლების შერჩევა

ყველა განაცხადიდან გამარჯვებული განმცხადებლები შეირჩევიან კომპიუტერული პროგრამის საშუალებით, შემთხვევითი შერჩევის პრინციპის მიხედვით. 2019 წლის პროგრამის შედეგების გასაგებად უნდა შეხვიდეთ ელექტრონული გათამაშების ვებ-გვერდზე www.dvlottery.state.gov და თქვენთვის რეგისტრაციისას მინიჭებული უნიკალური ნომრის საშუალებით შეიგყოთ ხართ თუ არა შერჩეულთა შორის. სტატუსის შემოწმება შესაძლებელი იქნება 2018 წლის 1 მაისიდან.

შერჩევის შემთხვევაში, გადამისამართლებით დასტურის გვერდზე, სადაც განთავსებული იქნება ინსტრუქციები და ინფორმაცია გასაუბრებისა და სავიზო მოსაკრებლის ყველა პროცედურული საკითხის შესახებ. სახელმწიფო დეპარტამენტი არ გააგზავნის შერჩევის შეგყობინებას წერილობით ან ელ. ფოსტით. განმცხადებლებს, რომლებიც არ იქნენ შერჩეულნი, ასევე არ მიუვათ შეგყობინება, მათაც სტატუსი ოფიციალურ ვებ-გვერდზე უნდა გადაამოწმონ. გირჩევთ, პირადად შეამოწმოთ თქვენი სტატუსი და შეგყობინებისათვის არ იყოთ დამოკიდებული სხვაზე.

გათამაშებაში შერჩეული განმცხადებელი ვიზის მისაღებად უნდა აკმაყოფილებდეს აშშ-ის კანონმდებლობაში გათვალისწინებულ ყველა მოთხოვნას. DS-260, ონლაინ საიმიგრაციო ვიზის აპლიკაციით ელექტრონულად და საკონსულტაციო ოფიცერი პირადად დაგისვამთ კითხვებს აშშ-ის კანონმდებლობით გათვალისწინებული საიმიგრაციო კვალიფიციურობის შესახებ. შეკითხვებს შორის იქნება კრიმინალსა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებული თემები.

წარმატებული განმცხადებლებისა და მათი ოჯახის წევრებისათვის ვიზების გაცემა უნდა მოხდეს 2019 წლის 30 სექტემბრამდე. ამ თარიღის შემდეგ სახელმწიფო დეპარტამენტს არ შეუძლია, გასცეს საიმიგრაციო ვიზა თავად განმცხადებლისა თუ მისი ნებისმიერი ოჯახის წევრისათვის.

ინსტრუქციები ციფრული ფოტოსურათის წარმოდგენისათვის

გათამაშების განაცხადის შევსებისას აუცილებელია აგვირთოთ ახალი გადაღებული ფოტოსურათი ან დაასკანეროთ ბოლო ექვსი თვის განმავლობაში გადაღებული ფოტოსურათი. წარმოდგენილი ციფრული ფოტოსურათი უნდა აკმაყოფილებდეს კომპოზიციურ და ტექნიკურ მოთხოვნებს. თქვენი ფოტოსურათის ტექნიკური ხარისხის გადამოწმება შეგიძლიათ გათამაშების ვებ-გვერდზე. განმცხადებლებმა არ უნდა აგვირთონ ძველი ფოტოსურათი. გასული წლის გათამაშებაში გამოყენებული ფოტოსურათის აგვირთვა მიმდინარე წლის გათამაშების განაცხადის წარდგენის დროს გამოიწვევს განაცხადის ავტომატურ დისკვალიფიკაციას.

კომპოზიციური მოთხოვნები:

- პიროვნება რომელსაც სურათს უღებენ უნდა უყურებდეს კამერას.
- მისი თავი არ უნდა იყოს აწეული მაღლა ან ჩაწეული დაბლა და არ უნდა იყოს გადახრილი მარჯვნივ ან მარცხნივ.
- მისი თავი უნდა იკავებდეს ფოტოსურათის მთელი ფართის დაახლოებით 56%-69%

ფონი

- პიროვნების ფოტოსურათი უნდა იყოს გადაღებული ნეიტრალურ, ღია ფერის ფონზე.

ფოკუსი

- ფოტოსურათი უნდა იყოს ფოკუსში

სათვალი

- სათვალთ გადაღებული ფოტოსურათი არ მიიღება

ქულები და თავსაბურავები

- მისაღებად ითვლება მხოლოდ რელიგიური დაგვირთვის მქონე თავსაბურავით გადაღებული ფოტოსურათი, მაგრამ თავსაბურავი არ უნდა ფარავდეს განმცხადებლის სახის რომელიმე ნაწილს.
- არ მიიღება ისეთი თავსაბურავით გადაღებული ფოტოსურათები, რომელსაც არა აქვს რელიგიური დაგვირთვა და არის რაიმე გვაროვნული გომისა ან სხვა სიმბოლიკის აღმნიშვნელი საფარი.
- არ მიიღება ისეთი ფოტოსურათები, სადაც განმცხადებელი გადაღებულია სამხედრო, საჰაერო ფლოტის ან სხვა ორგანიზაციის თავსაბურავით.

ტექნიკური მახასიათებლები

თუ იღებთ ახალ ციფრულ ფოტოსურათს, იგი უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ ტექნიკურ მოთხოვნებს:

- გამოსახულების (ფაილის) ფორმატი: ფოტოსურათი უნდა იყოს გადაღებული **JPEG** ფორმატში
- გამოსახულების (ფაილის) ზომა: ფოტოსურათის მაქსიმალური ზომა უნდა იყოს 240 კილობაიტი (240 KB)

ფოტოსურათის ზომები:

- ფოტოსურათის მინიმალური ზომა უნდა შეადგენდეს 600 პიქსელი (სიმაღლე) 600 პიქსელზე (სიგანე) და მაქსიმალური ზომა 1200 პიქსელი (სიმაღლე) 1200 პიქსელზე (სიგანე).

ფოტოსურათის ფერის სიღრმე:

- ფოტოსურათი უნდა იყოს ფერადი (24 ბიტი პიქსელზე). 24-ბიტიანი და 8-ბიტიანი შავთეთრი სურათი არ მიიღება.

ფოტოსურათის სკანირება:

სანამ ფოტოსურათის დაასკანერებთ, დარწმუნდით, რომ ფოტოსურათი აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კომპოზიციურ და ტექნიკურ მოთხოვნებს.

ფოტოსურათი დაასკანერეთ სკანერის შემდეგი კონფიგურაციით:

- ფოტოსურათის ზომა: მინიმალური სკანირების ზომა უნდა იყოს **300 dpi** (dots per inch)
- გამოსახულების (ფაილის) ფორმატი: ფოტოსურათი უნდა იყოს სკანირებული **JPEG** ფორმატში
- გამოსახულების (ფაილის) ზომა: ფოტოსურათის (ფაილის) მაქსიმალური ზომა უნდა იყოს 240 კილობაიტი (240 KB)

ხშირად დასმული შეკითხვები

ელექტრონული განაცხადის შევსება

1. რას ნიშნავს ტერმინი „native” და “chargeability”?

„native” ნიშნავს, რომ კონკრეტული პიროვნება დაიბადა რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ქვეყნის მოქალაქეა ამჟამად ან რომელ ქვეყანაში ცხოვრობს. იმიგრაციისა და მოქალაქეობის აქტის 202(b) ნაწილის თანახმად, საიმიგრაციო მიზნებიდან გამომდინარე, ტერმინი „native” - შეიძლება მიუთითებდეს იმ პირზეც, რომელსაც აქვს უფლება თავისი თავი მიაკუთვნოს სხვა ქვეყანას, რომელშიც ის დაბადებული არ იყო.

იმის გამო რომ იმიგრანტების რაოდენობა შეზღუდულია ქვეყნების და გეორგრაფიული რეგიონების მიხედვით, ყოველი განმცხადებელი მიკუთვნილია კონკრეტულ ქვეყანას. უმეტეს შემთხვევებში თქვენი გათამამებაში მონაწილე ქვეყანა იქნება თქვენი დაბადების ქვეყანა. მაგრამ თქვენ შეგიძლიათ თქვენი განაცხადისთვის თავი მიაკუთვნოთ მეუღლის დაბადების ქვეყანას ან ერთ-ერთი

მშობლის დაბადების ქვეყანას იმ შემთხვევაში თუ დაიბადეთ ქვეყანაში, რომელშიც არც ერთი მშობელი არ იყო დაბადებული. ეს არის ერთადერთი საში გზა, რომლითაც შეგიძლიათ შეარჩიოთ “chargeability”.

გათამაშებაში მონაწილე არასწორი ქვეყანის არჩევა გამოიწვევს განაცხადის გაუქმებას.

2. მაქვს მონაწილეობის უფლება, თუ არ დავიბადე ქვეყანაში, რომელიც არ არის კვალიფიციური მონაწილეობისათვის?

არსებობს ორი გზა:

- თუ მთავარი განმცხადებელი დაიბადა ქვეყანაში, რომელსაც არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ამ პროგრამაში, მას შეუძლია თავისი განაცხადი მიაკუთვნოს თავისი მეუღლის დაბადების ქვეყანას. ამ შემთხვევაში საიმიგრაციო ვიზა გაიცემა მხოლოდ თუ მეუღლე აკმაყოფილებს გათამაშების ყველა მოთხოვნას. ამ გზით საიმიგრაციო ვიზის მიღების შემთხვევაში განმცხადებელი და მისი მეუღლე ერთდროულად უნდა ჩავიდნენ აშშ-ში.
- განმცხადებელი, რომელიც დაიბადა ქვეყანაში, რომელსაც არ აქვს უფლება მონაწილეობა მიიღოს ამ პროგრამაში, შეუძლია მიაკუთვნოს თავისი განაცხადი იმ ქვეყანას, სადაც მისი ერთ-ერთი მშობელი დაიბადა, თუ განმცხადებლის დაბადების დროს არცერთი მშობელი არ იყო განმცხადებლის დაბადების ქვეყნის რეზიდენტი.

იმ განმცხადებელმა, რომელმაც თავისი განაცხადი მიაკუთვნა ალტერნატიულ ქვეყანას, ეს ინფორმაცია უნდა მიუთითოს სარეგისტრაციო განაცხადის ფორმაში.

გათამაშებაში არასწორი მონაწილე ქვეყნის არჩევა გამოიწვევს განაცხადის გაუქმებას.

3. რაგომ არა აქვთ ზოგიერთი ქვეყნის მოქალაქეებს ამ პროგრამაში მონაწილეობის მიღების უფლება?

მწვანე ბარათის გათამაშების მიზანია მისცეს ემიგრაციის საშუალება ისეთი ქვეყნების წარმომადგენლებს, საიდანაც აშშ-ში ნაკლებად შემოდის იმიგრანტები. აშშ-ის კანონმდებლობის თანახმად, საიმიგრაციო ვიზები არ მიენიჭება იმ ქვეყნების მოქალაქეებს, საიდანაც მოქალაქეების „მაღალი პროცენტი“ შედის აშშ-ში. კანონმდებლობის თანახმად ეს ის ქვეყნებია, საიდანაც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აშშ-ში საცხოვრებლად ჩამოვიდა 50000 ადამიანი, რომლებმაც მიიღეს „ოჯახის“ და „სამუშაო“ კატეგორიების ვიზები. ყოველწლიურად აშშ-ის მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამსახური (USCIS) უმატებს „ოჯახური“ და „სამუშაო“ ვიზებით ჩამოსულ ადამიანთა რიცხვს წინა ხუთ წელიწადში ჩამოსულ პირთა რაოდენობას - ამის მიზანია იმ ქვეყნების გამოყოფა, რომელთა მოქალაქეებსაც საიმიგრაციო ვიზების გათამაშებაში მონაწილეობის უფლება არა აქვთ. ყოველწლიურად, საიმიგრაციო ვიზების გათამაშების წინა პერიოდში, ცალკე განისაზღვრება იმ ქვეყნების სია, რომელთა მოქალაქეებს არა აქვთ ამ გათამაშებაში მონაწილეობის მიღების უფლება - ამ ქვეყნების სია შეიძლება ყოველწლიურად იცვლებოდეს.

4. რამდენი საიმიგრაციო ვიზა გაიცემა გათამაშებისას რეგიონისა და ქვეყნების მიხედვით?

აშშ-ის მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამსახური ყოველწლიურად განსაზღვრავს ლიმიტებს რეგიონების მიხედვით. ეს ლიმიტები განისაზღვრება იმიგრაციისა და მოქალაქეობის აქტის 203 (g) ნაწილის შესაბამისად.

5. რა მოთხოვნები არსებობს განმცხადებლის განათლებასა და სამუშაო გამოცდილებასთან დაკავშირებით?

კანონმდებლობის თანახმად, განმცხადებელს უნდა ჰქონდეს საშუალო სკოლის ან მისი შესაბამისი განათლება, ან ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ორი წელი ნამუშევარი უნდა იყოს ისეთ სფეროში, რომელსაც ესაჭიროება სულ მცირე ორწლიანი სასწავლო კურსის დამთავრება ან ორი წლის სამუშაო გამოცდილება. „საშუალო სკოლის ან მისი შესაბამისი განათლება“ ნიშნავს დაწყებითი და საშუალო განათლების 12-წლიანი კურსის წარმატებით დასრულებას აშშ-ში ან დაწყებითი და საშუალო განათლების ოფიციალური კურსის წარმატებით დასრულებას სხვა ქვეყანაში, რომელიც ამერიკის საშუალო სკოლის განათლებას უგოლდება. გათამაშებაში მონაწილეობის მისაღები განაცხადის ფორმასთან ერთად არ არის საჭირო განათლებასა და სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტების გამოგზავნა; ეს დოკუმენტები უნდა წარუდგინოთ კონსულს, ვიზის მისაღებად დანიშნული გასაუბრების დროს. სამუშაო გამოცდილების საფუძველზე პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად საჭირო შესაბამისობის დასადასტურებლად გამოყენებულია განსაზღვრებები შრომის დეპარტამენტის [O*Net OnLine](#) მონაცემთა ბაზიდან.

6. რა თანამდებობებია კვალიფიციური საიმიგრაციო ვიზის პროგრამისათვის?

შრომის დეპარტამენტის [O*Net OnLine](#) მონაცემთა ბაზა სამუშაო გამოცდილებას ჰყოფს ე.წ. ხუთ „სამუშაო მონად“. შრომის დეპარტამენტის ვებ-გვერდზე ჩამოთვლილია ბევრი თანამდებობა, მაგრამ მხოლოდ განსაზღვრული თანამდებობა აკმაყოფილებს გათამაშების მოთხოვნებს. გათამაშების მოთხოვნები რომ დააკმაყოფილოთ საჭიროა ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დაგროვილი გქონდეთ ორი წლის გამოცდილება თანამდებობაზე, რომელიც კლასიფიცირებულია „სპეციალური პროფესიული მომზადების“ რანგით 7.0 ან მეტი.

თუ განმცხადებელი არ აკმაყოფილებს განათლების ან სამუშაო გამოცდილების მოთხოვნებს, მისი სავიზო განაცხადი უარყოფილი იქნება გასაუბრების დროს.

7. როგორ მოეძებნო კვალიფიციური თანამდებობები შრომის დეპარტამენტის ვებ გვერდზე?

საიმიგრაციო ვიზის გათამაშებისათვის კვალიფიციური თანამდებობები ნაჩვენებია [O*Net OnLine](#) ვებ-გვერდზე. იმისათვის, რომ ნახოთ თქვენი თანამდებობა აკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს მიჰყევით ინსტრუქციას:

1. მინიშნეთ “Find Occupations” და შემდეგ მონიშნეთ “Job Family”
2. მონიშნეთ სასურველი სფერო და დააჭირეთ “GO”
3. დააჭირეთ სათანადო ბმულს კონკრეტული თანამდებობის მონიშვნის შემდეგ

4. შეარჩიეთ “Job Zone”, რათა მოძებნოთ თანამდებობის ნომერი და პროფესიული მომზადების რანგი

8. არსებობს თუ არა მინიმალური ასაკობრივი ზღვარი საიმიგრაციო ვიზის გათამაშების პროგრამაში მონაწილეთათვის?

მინიმალური ზღვარი ამ პროგრამაში მონაწილეობისათვის არ არსებობს. მაგრამ განათლებისა და სამუშაო გამოცდილების მოთხოვნების გამო, 18 წლამდე განმცხადებლების უმრავლესობა დისკვალიფიცირებული იქნება.

ელექტრონული განაცხადის შევსება

9. როდის შემიძლია განაცხადის შევსება?

2019 წლის საიმიგრაციო ვიზების გათამაშების განაცხადების მიღების პერიოდი დაიწყო 2017 წლის 3 ოქტომბრის 20:00 საათზე (თბილისის დროით) და დასრულდება 2017 წლის 7 ნოემბრის 20:00 საათზე (თბილისის დროით). ყოველწლიურად ამ პროგრამაში მონაწილეობს მილიონობით ადამიანი. განაცხადების მიღება წლის ამ დროს საშუალებას მოგვცემს, დროულად შევაგყობინოთ პასუხი გამარჯვებულ განმცხადებლებს და მისცემს საშუალებას როგორც განმცხადებლებს ისე ჩვენს საელჩოებსა და საკონსულოებს, მოამზადონ შერჩეული განაცხადები ვიზის გასაცემად. განმცხადებლებს ვურჩევთ, განაცხადები სარეგისტრაციო პერიოდის დასაწყისშივე შემოიტანონ, რადგანაც სარეგისტრაციო პერიოდის ბოლოს დიდი მოთხოვნის გამო სისტემის მუშაობა შეიძლება საგრძნობლად შენედეს.

10. ვიმყოფები შეერთებულ შტატებში. შემიძლია გათამაშებაში მონაწილეობა?

დიახ, განმცხადებელი შეიძლება იმყოფებოდეს აშშ-ში ან სხვა ქვეყანაში და შესაბამისად განაცხადება შეუძლია გამოაგზავნოს აშშ-დანაც და სხვა ნებისმიერი ქვეყნიდანაც.

11. მხოლოდ ერთხელ შემიძლია მონაწილეობა ყოველ სარეგისტრაციო პერიოდში?

კანონმდებლობის თანახმად, თითოეული გათამაშების დროს (წელიწადში ერთხელ) განმცხადებელს აქვს მხოლოდ ერთი განაცხადის შემოტანის უფლება. ერთზე მეტი განაცხადის გამომგზავნი პირების დასადგენად სახელმწიფო დეპარტამენტში იყენებენ მალაღმანიტარულ, თანამედროვე ტექნოლოგიურ საშუალებებს. განმცხადებლები, რომლებიც შემოიტანენ ერთზე მეტ განაცხადს, იქნებიან დისკვალიფიცირებულნი.

12. შეიძლება, რომ მე და ჩემმა მეუღლემ ცალ-ცალკე შევაგსოთ განაცხადი?

დიახ, მეუღლეებს აქვთ ცალ-ცალკე განაცხადების წარმოდგენის უფლება, თუ თითოეული აკმაყოფილებს პროგრამის მოთხოვნებს. ერთ-ერთი მეუღლის შერჩევის შემთხვევაში, მეორე მეუღლეს ეკუთვნის მეორე კატეგორიის საიმიგრაციო სტატუსი.

13. ოჯახის რომელი წევრები უნდა მივუთითო განცხადებაში?

მეუღლე: განაცხადის ფორმაში აუცილებელია ჩაწეროთ ოფიციალური მეუღლე, იმ შემთხვევაშიც თუ ამჟამად დაშორებული ხართ და თუ ის არ აპირებს თქვენთან ერთად გამგზავრებას აშშ-ში. თუ მეუღლესთან ოფიციალურად ხართ განქორწინებული (ანუ გაქვთ ამ ფაქტის დამადასტურებელი საბუთი), მაშინ მისი მითითება საჭირო არ არის.

თუ განმცხადებლის ოფიციალური მეუღლე არის აშშ-ის მოქალაქე ან აქვს აშშ-ში მუდმივი ცხოვრების კანონიერი უფლება, მისი მითითება განაცხადში აუცილებელი არ არის.

შვილები: განაცხადის ფორმაში აუცილებელია ჩაწეროთ 21 წლამდე ყველა დაუქორწინებელი შვილი, იქნება ეს თქვენი ბიოლოგიური შვილ(ებ)ი, თქვენი მეუღლის შვილ(ებ)ი ან კანონმდებლობის შესაბამისად ოფიციალურად ნაშვილები შვილ(ებ)ი. მიუთითეთ თქვენი შვილ(ებ)ი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი არ ცხოვრობენ თქვენთან ერთად ან არ აპირებენ თქვენთან ერთად გამგზავრებას აშშ-ში. გამონაკლისი ეხება მხოლოდ იმ შვილებს, რომლებიც უკვე არიან აშშ-ის მოქალაქეები ან აქვთ აშშ-ში მუდმივი ცხოვრების კანონიერი უფლება.

ის ფაქტი რომ თქვენ მიუთითებთ თქვენ ოჯახის წევრებს განაცხადის ფორმაში, არ ნიშნავს იმას, რომ მათ უნდა შემოიგნონ განაცხადი ვიზაზე და გაემგზავრონ თქვენთან ერთად აშშ-ში. მაგრამ თუ თქვენ განაცხადში არ მიუთითებთ ოჯახის კვალიფიციურ წევრს, მოთხოვნების შესაბამისად, თქვენი განაცხადი დისკვალიფიცირებული იქნება გასაუბრების დროს. ეს მოთხოვნები ეხება ოჯახის მხოლოდ იმ წევრებს, რომლებიც გყავთ განაცხადის შევსების დროს და არა მათ, ვინც განაცხადის წარდგენის შემდგომ გახდნენ თქვენი ოჯახის წევრნი. განმცხადებლის მეუღლეს შეუძლია შეავსოს ცალკე განაცხადი, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე იქნება თქვენი განაცხადის ფორმაში მითითებული. ორივე განაცხადი აუცილებლად უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ოჯახის იმ წევრებზე, რომლებიც არიან თქვენზე დამოკიდებულები.

14. აუცილებელია რომ მე თვითონ შევავსო განაცხადი? შეიძლება, რომ სხვამ შეავსოს ჩემ ნაცვლად?

განმცხადებლებს ვურჩევთ, განაცხადები შეავსონ და გადააგზავნონ თვითონ, მაგრამ შეიძლება, რომ განაცხადის ფორმა სხვა პირმა გამოაგზავნოს განმცხადებლის სახელით. არა აქვს მნიშვნელობა თუ ვინ გააგზავნის განაცხადს - თვითონ განმცხადებელი, მისი ადვოკატი, მეგობარი, ნათესავი და ა.შ. - მთავარია, ერთი განმცხადებლის სახელით შემოვიდეს მხოლოდ ერთი განაცხადი და შევსებულ ინფორმაციაზე პასუხისმგებელი არის გათამაშებაში მონაწილე პირი. იმისათვის, რომ შეძლოთ დამოუკიდებლად შეამოწმეთ თქვენი განაცხადის სტატუსი, აუცილებლად, შეინახეთ თქვენი განაცხადის დასტურის ნომერი.

15. მე უკვე დარეგისტრირებული ვარ სხვა გვიპის საიმიგრაციო ვიზაზე. მაქვს უფლება, რომ მივიღო მონაწილეობა გათამაშებაში?

დიახ.

16. როდის იქნება ელექტრონული განაცხადი ხელმისაწვდომი ონლაინ?

თქვენ შეგიძლიათ დარეგისტრირდეთ ონლაინ რეგისტრაციის პერიოდში -
დასაწყისი: სამშაბათი, 3 ოქტომბერი 2017 წელი 20:00 საათიდან (თბილისის დრო) დასასრული:
20:00 საათი (თბილისის დრო) სამშაბათი, 7 ნოემბერი, 2017.

17. შეიძლება, რომ განაცხადი ჩამოგვევითო, შევინახო ვორდის დოკუმენტად და მოგვიანებით დავასრულო?

არ არის შესაძლებელი. თქვენ არ გექნებათ განაცხადის შენახვის საშუალება.

18. შეიძლება, რომ განაცხადი ონლაინ შევინახო და მოგვიანებით დავასრულო?

არ არის შესაძლებელი. განცხადების დაწყების მომენტიდან 60 წუთი გაქვთ დასასრულებლად. თუ შევსების დროის ხანგრძლივობა გადაცდება 60 წუთს, სისტემა ავტომატურად გაასუფთავებს შეყვანილ ინფორმაციას, რათა მომავალში, დასრულებული განაცხადის შეტანისას სისტემამ ღუბლიკაგად არ აღიქვას.

19. არ მაქვს სკანერი. შეიძლება ფოტოები შეერთებულ შტატებში ნაცნობს გავეუბნაო, რომ დამისკანეროს, შეინახოს და ელ.ფოსტით გამომიგზავნოს განაცხადისათვის?

შესაძლებელია, იმ შემთხვევაში თუ ფოტოები იქნება სტანდარტების შესაბამისი. გაითვალისწინეთ, რომ ფოტოები განაცხადთან ერთად უნდა ატვირთოთ. ფოტოების განაცხადისაგან განცალკევებით შემოგანა არ შეიძლება.

20. პროცედურის თანახმად, სისტემა უარყოფს ჩემს მონაწილეობას გათამაშების პროგრამაში თუ ჩემი ფოტოები შეუსაბამობაში იქნება სტანდარტებთან. შემიძლია ხელახლა დარეგისტრირება?

დიახ, იმ შემთხვევაში თუ თქვენი რეგისტრაცია დასრულებული იქნება სამშაბათს, 7 ნოემბერს 20:00 საათამდე (თბილისის დროით). თუ თქვენი ფოტოები არ აკმაყოფილებს სტანდარტებს მაშინ გათამაშების ვებ-გვერდი ამ ფოტოებს არ მიიღებს. შესაბამისად, თქვენ ვერ მიიღებთ დასტურის შეტყობინებას. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ინტერნეტის შეფერხების გამო უარის შეტყობინება შესაძლოა მყისიერად არ მიიღოთ. თუ თქვენ 60 წუთის განმავლობაში შეძლებთ ფოტოების შეცვლას, შესაძლოა პროცესი წარმატებით დაასრულოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოგიწევთ პროცესის ხელახლა დაწყება. მას შემდეგ რაც თქვენ მიიღებთ დასტურის შეტყობინებას ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ მეტჯერ აღარ უნდა სცადოთ განაცხადის შევსება.

21. რეგისტრაციიდან რამდენ ხანში მივიღებ დასტურის შეტყობინებას?

დასტურის შეტყობინება უნდა მიიღოთ დაუყოვნებლივ. შეტყობინებაში იქნება დასტურის უნიკალური ნომერი, რომელიც უნდა ჩაინიშნოთ და შეინახოთ. თუმცა, რადგანაც ინტერნეტის მდგომარეობა ყველგან სტაბილური არ არის, გამორიცხული არ არის შეფერხება. შეგიძლიათ ღილაკ "Submit"-ს დააჭიროთ რამდენჯერაც საჭირო იქნება, სანამ სრული განაცხადი არ გაიგზავნება და დასტურის

შეცვლილებას არ მიიღებთ. მას შემდეგ, რაც მიიღებთ დასტურის შეცვლილებას, აღარ სცალოთ ხელახლა დარეგისტრირება.

22. დავაჭირე ლილას “Submit”, მაგრამ არ მიმიღია დასტურის ნომერი. თუ ხელახლა დარეგისტრირდები, დისკვალიფიცირებული ვიქნები?

თუ თქვენ არ მიგიღიათ დასტურის ნომერი, თქვენი განაცხადი არ იქნა დარეგისტრირებული. ამ შემთხვევაში თქვენ მოგიწევთ კიდევ ერთი განაცხადის წარდგენა. ის არ ჩაითვლება ასლად. როდესაც თქვენ მიიღებთ დამადასტურებელ ნომერს, ხელმეორედ ნუ გააგზავნით თქვენს მონაცემებსა და ინფორმაციას.

შერჩევის პროცედურა

23. როგორ გავიგებ, თუ შემარჩიეს?

თქვენი სტატუსის შესამოწმებლად უნდა გამოიყენოთ თქვენი დასტურის ნომერი. სტატუსის შემოწმება შესაძლებელია გათამაშების ვებ-გვერდზე www.dvlottery.state.gov - *Entrant Status Check* განყოფილებაში. სტატუსის შემოწმება შესაძლებელი იქნება 2018 წლის 1 მაისიდან 2019 წლის 30 სექტემბრამდე. მონაწილის სტატუსის შემოწმება “Entrant Status Check” წარმოადგენს ერთადერთ საშუალებას, რომლის მეშვეობითაც აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტი გაცნობებთ, შეირჩა თუ არა თქვენი კანდიდატურა, მოგაწვდით შემდგომ დამატებით ინსტრუქციას თქვენი სავიმო განაცხადის მიღების შესახებ და შეგაცვლით საიმიგრაციო ვიზის გასაუბრებისათვის დანიშნული შეხვედრის თარიღსა და დროს. იმისათვის, რომ სახელმწიფო დეპარტამენტმა ყველა ხელმისაწვდომი ვიზის გამოყენება უზრუნველყოს, შესაძლოა გამოიყენოს “Entrant Status Check”-ი, რათა 2018 წლის 1 მაისის შემდგომ აცნობოს დამატებით შერჩეულ პირებს მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილების შესახებ. შეინახეთ თქვენი დასტურის ნომერი 2019 წლის 30 სექტემბრამდე ნებისმიერი განახლებებისათვის. www.dvlottery.state.gov წარმოადგენს სახელმწიფო დეპარტამენტის ერთადერთ უფლებამოსილ ვებ-გვერდს განაცხადის ოფიციალურად, ონლაინ რეჟიმში წარსადგენად, მწვანე ბარათის გათამაშების საიმიგრაციო პროგრამისათვის და მონაწილის სტატუსის შესამოწმებლად.

სახელმწიფო დეპარტამენტი არ დაგიკავშირდებათ, რომ შეგაცვლით გათამაშების პროგრამაში თქვენი სტატუსი (იხ. ხშირად დასმული შეკითხვები #24).

24. როგორ გავიგებ, თუ მე არ შემარჩიეს? შემაცვლილებენ ამის შესახებ?

თუ თქვენი განაცხადი არ იქნა შერჩეული, სახელმწიფო დეპარტამენტი პირადად არ დაგიკავშირდებათ. თქვენ უნდა გამოიყენოთ ფუნქცია „მონაწილის სტატუსის შემოწმება“ (Entrant Status Check) იმისათვის, რომ შეიგყოთ, ხართ თუ არა შერჩეული პროგრამისათვის. თქვენ შეგიძლიათ შეამოწმოთ თქვენი DV-2019 განაცხადის სტატუსი „მონაწილის სტატუსის შემოწმების“ ფუნქციის მეშვეობით ვებ-გვერდზე www.dvlottery.state.gov 2018 წლის 1 მაისიდან 2019 წლის 30 სექტემბრამდე. ყოველი შემთხვევისათვის, შეინახეთ თქვენი დამადასტურებელი ნომერი 2019 წლის 30 სექტემბრამდე. (ინფორმაცია სტატუსის შესახებ წინა წლის საიმიგრაციო ვიზის მწვანე ბარათის

გათამაშების პროგრამისათვის - DV-2018, ხელმისაწვდომია ონლაინ რეჟიმში 2017 წლის 2 მაისიდან 2018 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით.)

25. რა მოხდება, თუ დავეკარგავ დასტურის ნომერს?

მონაწილის სტატუსის შესამოწმებლად თქვენ უნდა გქონდეთ დასტურის ნომერი. ამჟამად გათამაშების ვებ-გვერდის ESC-ში (Entrant Status Check - მონაწილის სტატუსის შემოწმება) ხელმისაწვდომია ფუნქცია, რომელიც საშუალებას მოგცემთ ალაღვინოთ თქვენი დასტურის ნომერი ელექტრონული ფოსტის იმ მისამართის მეშვეობით, რომლითაც თქვენ დარეგისტრირდით.

აშშ-ის საელჩოებსი და საკონსულოები და კენგაკის საკონსულო ცენტრი ვერ მოგაწვდით ვერც თქვენი სტატუსის შესახებ ინფორმაციას და ვერც დასტურის ნომერს. (ეს, შესაძლებელია მხოლოდ მონაწილის სტატუსის შემოწმების - ESC აღდგენის ფუნქციის მეშვეობით). სახელმწიფო დეპარტამენტს არ შეუძლია შემოგთავაზოთ შერჩეულ პირთა სია რომელიც სავიზო პროცესს გააგრძელებს.

26. მივიღებ თუ არა ინფორმაციას სახელმწიფო დეპარტამენტიდან ელექტრონული ფოსტით ან საფოსტო გზაზე მიღების სახით?

სახელმწიფო დეპარტამენტი არ გამოგიგზავნით შეტყობინების წერილს. აშშ-ის მთავრობას არასდროს გაუგზავნია შეტყობინებები ელ. ფოსტით განმცხადებლთათვის სტატუსის შეტყობინების მიზნით და არც 2019 წლის პროგრამისთვის იგეგმება ელ.ფოსტის გამოყენება. თუ შეგარჩიეს, თქვენ ელ.ფოსტით შეტყობინებას მხოლოდ სავიზო შეხვედრის დანიშნვის შესახებ მიიღებთ, ისიც მას შემდეგ, რაც გამოეხმაურებით ინსტრუქციების შესახებ ინფორმაციის შეტყობინებას ESC-ში (განმცხადებლის სტატუსის შემოწმების გვერდი). ეს ელექტრონული შეტყობინება არ შეიცავს ინფორმაციას შეხვედრის თარიღისა და დროის შესახებ; მხოლოდ გატყობინებენ, რომ შეხვიდეთ ESC ვებ-გვერდზე შემდგომი დეტალების დასაზუსტებლად. სახელმწიფო დეპარტამენტმა შესაძლოა გამოგიგზავნოთ შეტყობინება ელ. ფოსტით, რათა შეგახსენოთ მწვანე ბარათის გათამაშების მონაწილეებსაკუთარი სტატუსი ESC-ის საშუალებით შემოწმება. თუმცა, ამგვარი ელექტრონული შეტყობინებები არასდროს მიგვანიშნებენ მწვანე ბარათის გათამაშების მაძიებელი კანდიდატი შერჩეულ იქნა თუ არა პროგრამისათვის. მხოლოდ ინტერნეტ საიტები, რომელთა მისამართები ბოლოვდება დომენის სუფიქსით “.gov” წარმოადგენენ აშშ-ის მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდებს. ბევრი სხვა ვებ-გვერდი (მაგ., .com, .org, ან .net სუფიქსების დაბოლოებით) უზრუნველყოფს საიმიგრაციო და სავიზო მომსახურებას. სახელმწიფო დეპარტამენტი არცერთ მსგავსი დომენის მქონე სხვა ვებ-გვერდებს არ უწევს რეკომენდაციას და არ ასპონსორებს.

თქვენ შეიძლება მიიღოთ ელექტრონული წერილები ვებ-გვერდებიდან, რომლებიც ცდილობენ, მოგყუებით გაიძულონ მათთვის გარკვეული თანხის გაგზავნა ან პირადი ინფორმაციის მიწოდება. თქვენ შესაძლოა გთხოვონ, გადაიხადოთ იმ შესავსები ფორმებისა და საიმიგრაციო პროცედურების ინფორმაციის საფასური, რაც სრულად და უფასოდ არის ხელმისაწვდომი სახელმწიფო დეპარტამენტის ვებ-გვერდზე www.travel.state.gov, ან აშშ-ის საელჩოსა და საკონსულოს ვებ-გვერდებზე. გარდა ამისა, გარკვეულმა ორგანიზაციებმა ან ვებ-გვერდებმა შესაძლოა სცადონ მითვისონ საიმიგრაციო ვიზის მომსახურებისათვის განკუთვნილი თანხა. თუ თქვენ გაუგზავნით თანხას ამგვარ თაღლითებს, სავარაუდოდ, თქვენ ფულის დაბრუნებას ვეღარ შეძლებთ. ასევე, ნუ გააგზავნით თქვენს პირად ინფორმაციას ამ ვებ-გვერდებზე, რადგან ის შესაძლოა გამოყენებულ

იქნას პერსონალური მონაცემების მიტაცებისა და გაყალბების მიზნით. ამგვარი თაღლითური ელექტრონული გზავნილები შეიძლება მიიღოს იმ ადამიანებისაგან, რომლებიც თითქოს წარმოადგენენ კენტაკის საკონსულტაციო ცენტრის ან სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომლებს. გახსოვდეთ, რომ აშშ-ის მთავრობას არასდროს გაუგზავნია ელექტრონული შეტყობინებები იმისათვის, რომ ეცნობებინა კერძო პირებისათვის მათი შერჩევის შესახებ და კვლავაც არ არსებობს ამ მიზნით DV-2019 პროგრამისათვის ელექტრონული ფოსტის გამოყენების გეგმა. სახელმწიფო დეპარტამენტი არასდროს გთხოვთ ფულის გამოგზავნას ელექტრონული ფოსტით ან ისეთი სამსახურის საშუალებით, როგორცაა Western Union-ი.

27. რამდენი ადამიანი იქნება შერჩეული 2019 წლის პროგრამისათვის?

მწვანე ბარათის გათამაშების 2019 წლის პროგრამისთვის 50000 საიმიგრაციო ვიზა ხელმისაწვდომი იქნება. იმის გამო, რომ, სავარაუდოდ, მოგიერთი ამ პირველი შერჩეული 50000 ადამიანიდან ვერ დააკმაყოფილებს ვიზის მისაღებ საკვალიფიკაციო პირობებს ან ბოლომდე არ მიყვება პროცესს ვიზის გაცემამდე, 50000-ზე მეტი განაცხადი შეირჩევა იმის უზრუნველსაყოფად, რომ ყველა ხელმისაწვდომი საიმიგრაციო ვიზა (DV) გაიცეს. თუმცა, ეს ასევე ნიშნავს, რომ ყველა შერჩეული კანდიდატისათვის ვიზების რაოდენობა შეიძლება არ იყოს საკმარისი.

თქვენ შეგიძლიათ შეამოწმოთ მონაწილის სტატუსი www.dvlottery.state.gov (E-DV) ვებ-გვერდზე და ნახოთ, შეირჩა თუ არა თქვენი კანდიდატურა მონაცემების შემდგომი დამუშავებისათვის და გადაამოწმოთ თქვენი ადგილი მაძიებელთა სიაში. 2019 წლის პროგრამის იმ შერჩეული კანდიდატებისათვის, ვინც წარადგინა ყველა წინასწარი დოკუმენტი და სხვა ინფორმაცია მათთვის შეტყობინებული ინსტრუქციის შესაბამისად, გასაუბრება დაიწყება 2018 წლის ოქტომბერში. შერჩეულ კანდიდატებს, რომლებიც წარადგენენ ყველა საჭირო ინფორმაციას, სავიზო გასაუბრების დანიშნვის შესახებ ოთხი-ექვსი კვირით ადრე ეცნობებათ ვებ-გვერდის ESC-ის (განმცხადებლის სტატუსის შემოწმების გვერდი) საშუალებით. გასაუბრება საზღვარგარეთ მომუშავე აშშ-ის საკონსულტაციო ოფიცრებთან გაიმართება.

სანამ ვიზები ხელმისაწვდომი იქნება, კვალიფიცირებულ განმცხადებლებზე ვიზები გაიცემა ყოველთვიურად. როგორც კი ყველა - 50000 მწვანე ბარათის გათამაშების საიმიგრაციო ვიზა გაიცემა, მოცემული პროგრამაც დასრულდება. ვიზების რაოდენობა შესაძლოა დამთავრდეს 2019 წლის სექტემბრამდე. შერჩეული კანდიდატები, რომელთაც სურვილი აქვთ განაცხადი შეიგანონ ვიზის მოსაპოვებლად, მზად უნდა იყვნენ, რათა იმოქმედონ სწრაფად. **კანდიდატად შემთხვევითი არჩევის მეთოდით შერჩევა არ იძლევა იმის გარანტიას, რომ თქვენ მიიღებთ ვიზას. შერჩევა უბრალოდ ნიშნავს, რომ თქვენ უფლებამოსილი ბრძანდებით განაცხადით მიმართოთ მწვანე ბარათის გათამაშების საიმიგრაციო ვიზის პროგრამას. თუ თქვენი ნომერი უფლებამოსილი გახდა მონაცემთა საბოლოო დამუშავების პროცესისათვის, თქვენ შესაძლებელია მიიღოთ მწვანე ბარათის გათამაშების საიმიგრაციო ვიზა. მხოლოდ 50000 ვიზა იქნება გაცემული ამგვარ განმცხადებლებზე.**

28. როგორ შეირჩევა წარმატებული მონაწილე?

შერჩევის შესახებ ოფიციალური შეტყობინება განთავსდება ESC-ის (მონაწილის სტატუსის შემოწმების გვერდი) გვერდზე, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე www.dvlottery.state.gov 2018 წლის 1 მაისიდან 2019 წლის 30 სექტემბრამდე. სახელმწიფო დეპარტამენტი არ უგზავნის

შერჩეულ კანდიდატს შეგყობინებას ან წერილებს ჩვეულებრივი საფოსტო სამსახურის მეშვეობით ან ელექტრონული ფოსტით. ნებისმიერი ელექტრონული შეგყობინება ან ფოსტით გამოგზავნილი წერილი განაცხადით, რომ თქვენ შეგარჩიეს საიმიგრაციო ვიზის მისაღებად, რომელიც არ მოდის სახელმწიფო დეპარტამენტიდან, უკანონოა. ნებისმიერი ელექტრონული შეგყობინება, მიღებული სახელმწიფო დეპარტამენტიდან გადაგამისამართებთ ESC-ის (მონაწილის სტატუსის) გვერდზე, რათა იქ შეამოწმეთ თქვენს განაცხადთან დაკავშირებული სიახლეები. სახელმწიფო დეპარტამენტი არასდროს მოგთხოვთ ფულის გადმოგზავნას ელექტრონული ფოსტით ან ისეთი სამსახურის საშუალებით, როგორცაა წარმოადგენს Western Union-ი.

ყველა განაცხადს, მიღებულს თითოეული რეგიონიდან ენიჭება ინდივიდუალური ნომერი; განაცხადის პერიოდის დასასრულისათვის, კომპიუტერი შემთხვევითი შერჩევის მეთოდით შეარჩევს განცხადებებს ყველა წარდგენილ განაცხადთა შორის თითოეული გეოგრაფიული რეგიონისათვის. თითოეულ რეგიონში, პირველი შემთხვევით შერჩეული განაცხადი იქნება პირველი დარეგისტრირებული საქმე; მეორე, ანალოგიურადვე შერჩეული განაცხადი გახდება მეორე დარეგისტრირებული საქმე და ა.შ. ყველა განაცხადს, რომელიც მიღებულია თითოეულ რეგიონში განხილვის პერიოდში შერჩევისათვის თანაბარი შანსი ექნება. როდესაც განაცხადი შეირჩევა, მონაწილე შეიცვალს შერჩევის შესახებ მოცემული ინფორმაციის გადამოწმებით ESC-ში, რომელიც ხეწლმისაწვდომი იქნება 2018 წლის 1 მაისიდან ვებ-გვერდზე www.dvlottery.state.gov. თუ თქვენი კანდიდატურა შეირჩა და თქვენ გამოეხმაურეთ ინსტრუქციებს, რომელიც მოწოდებული იქნება ონლაინ რეჯიმში ESC-ის საშუალებით, სახელმწიფო დეპარტამენტის კენჭუკის საკონსულო ცენტრი დაამუშავებს საქმის მონაცემებს მანამ, სანამ შერჩეული კანდიდატები არ მიიღებენ ინსტრუქციას, რომ გამოცხადდნენ სავიზო გასაუბრებაზე აშშ-ის საელჩოსა ან საკონსულოში, ან სანამ ისინი, ვინც აშშ-ში იმყოფებიან და წარადგენენ განცხადებას მათი სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებით, არ მიმართავენ USCIS-ს (აშშ-ის მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამსახურს) აშშ-ში.

29. მე უკვე შეერთებულ შტატებში ვარ. შერჩევის შემთხვევაში, შეიძლება შევიცვალო ჩემი სტატუსი USCIS-ის (აშშ-ის მოქალაქეობისა და იმიგრაციის სამსახური) საშუალებით?

დიახ, იმ პირობით, თუ თქვენ გაქვთ უფლება, შეიცვალოთ სტატუსი იმიგრაციისა და მოქალაქეობის შესახებ კანონის (INA) 245-ე ნაწილის დებულებების შესაბამისად, თქვენ შეგიძლიათ, განცხადებით მიმართოთ USCIS-ს სტატუსის შეცვლის თაობაზე, ანუ მუდმივი მაცხოვრებლის სტატუსის (მუდმივი რეზიდენტის სტატუსის) მისაღებად. უნდა დარწმუნდეთ, რომ USCIS-ს შეუძლია მოქმედების დასრულება თქვენს საქმესთან დაკავშირებით, მეუღლისა ან 21 წლამდე ასაკის შვილებთან დაკავშირებული მონაცემების ნებისმიერი საზღვარგარეთ შეტანილი განაცხადის დამუშავების ჩათვლით, 2019 წლის 30 სექტემბრამდე, რადგანაც თქვენი უფლებამოსილების ვადა DV-2019 პროგრამაში მონაწილეობის მიღებისა, ამ დღეს იწურება. სახელმწიფო დეპარტამენტი არც ერთ ვითარებაში არ დაადასტურებს არც ერთი ვიზის ან სტატუსის შეცვლის შემთხვევას DV-2019 პროგრამის ფარგლებში, 2019 წლის 30 სექტემბრის შუალამის 12 საათის (EDT - აღმ. სასარგებლო დრო) შემდეგ.

30. ჩემი შერჩევის შემთხვევაში, რამდენი ხნის განმავლობაში ვარ უფლებამოსილი, შევიტანო განაცხადი მწვანე ბარათის გათამაშების საიმიგრაციო ვიზის ასაღებად?

იმ შემთხვევაში თუ თქვენ შეგარჩიეს DV-2019 პროგრამისათვის, თქვენ უფლებამოსილი ბრძანდებით, შეიგანოთ განაცხადი ვიზის მისაღებად, მხოლოდ, აშშ-ის მთავრობის 2019 ფისკალური წლის განმავლობაში, რომელიც მოიცავს პერიოდს 2018 წლის 1 ოქტომბრიდან 2019 წლის 30 სექტემბრამდე. ჩვენ მოვუწოდებთ შერჩეულ კანდიდატებს, წარადგინონ მიმართვა ვიზის მისაღებად რაც შეიძლება ადრე, მას შემდეგ, რაც მათი პროგრამაში რანჟირების ნომრების გადარჩევა მოხდება.

გამონაკლისების გარეშე, ყველა შერჩეულმა და უფლებამოსილმა განმცხადებელმა - აპლიკანტმა უნდა მოიპოვოს ვიზა ან შეასწოროს საკუთარი სტატუსი მოცემული ფისკალური წლის დასასრულისათვის. DV პროგრამით გათვალისწინებული შეღავათების შემდგომი წლისათვის გადაგანა იმ პირთათვის, რომლებიც შეირჩნენ, მაგრამ ვერ მოიპოვეს ვიზა 2019 წლის 30 სექტემბრისათვის (ფისკალური წლის დასასრულისათვის) არ ხდება. ამასთან, მეუღლეებს და შვილებს, რომლებიც ასევე იღებენ სტატუსს DV-2019 პროგრამაში დარეგისტრირებით, შეუძლიათ, მოიპოვონ ვიზები DV კატეგორიაში მხოლოდ 2018 წლის 1 ოქტომბრიდან 2019 წლის 30 სექტემბრამდე პერიოდში. პირები, რომლებიც განაცხადს წარადგენენ საზღვარგარეთ, მიიღებენ შეხვედრის დანიშნვის შეტყობინებას სახელმწიფო დეპარტამენტისაგან ESC-ის საშუალებით ვებ-გვერდზე: www.dvlottery.state.gov დაგვერდში შეხვედრამდე 4-6 კვირით ადრე.

31. იმ შემთხვევაში, თუკი გათამაშების პროგრამისთვის შერჩეული კანდიდატი გარდაიცვლება, რა ხდება მის საქმესთან დაკავშირებით?

იმ შემთხვევაში, თუ გათამაშების პროგრამაში მონაწილე შერჩეული კანდიდატი დაიღუპება აშშ-ში გამგზავრებამდე ან სტატუსის შეცვლამდე, მისი საქმე ავტომატურად იხურება. გარდაცვლილი კანდიდატის მეუღლე და/ან შვილი აღარ იქნება უფლებამოსილი, მიმართოს შესაბამის უწყებას DV ვიზისათვის. ნებისმიერი ვიზა, რომელიც მათ სახელზე გაიცა, გაუქმება ექვემდებარება.

შესაგანი საკომისიო გადასახადები

32. რა ღირს მწვანე ბარათის გათამაშებაში მონაწილეობა?

უღებურული განაცხადის შეგანა და წარდგენა უფასოა. თუმცა, იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ შეირჩევით და შეიგანოთ განაცხადს მწვანე ბარათის გათამაშების საიმიგრაციო ვიზის მოსაპოვებლად, თქვენ მოგიწევთ ყველა სავალდებულო სავიზო განაცხადის საფასურის გადახდა, ვიზაზე განაცხადით მომართვისა და გასაუბრების დროს, უშუალოდ, საკონსულოს მოლარესთან აშშ-ის საელჩოსა ან საკონსულოში. თუკი თქვენ უკვე შერჩეული ხართ აშშ-ში და მიმართავთ USCIS-ს სტატუსის შესაცვლელად, თქვენ იხდით განაცხადის შესაგან ყველა სავალდებულო მოსაკრებელს უშუალოდ USCIS-ში. იმ შემთხვევაში, თუკი თქვენ შეგარჩიეს, თქვენ მიიღებთ DV-სა და საიმიგრაციო ვიზის განაცხადის შესაგანი გადასახადების დეტალებს სათანადო ინსტრუქციების თანხლებით, რომელიც წარმოდგენილი იქნება ვებ-გვერდზე: www.dvlottery.state.gov.

33. როგორ და სად ვიხდი DV-სა და საიმიგრაციო ვიზის გადასახადებს, თუ მე შემარჩიეს?

თუ თქვენ შემთხვევითი არჩევის მეთოდით შერჩეული მონაწილე ბრძანდებით, თქვენ მიიღებთ ინსტრუქციებს DV განაცხადის შეგანის პროცესთან დაკავშირებით ESC-ის საშუალებით ვებ

გვერდზე www.dvlottery.state.gov. თქვენ გადახდით DV-სა და საიმიგრაციო სავიზო განაცხადის ყველა საფასურს პირადად, მხოლოდ აშშ-ის საელჩოსა ან საკონსულოში სავიზო განაცხადის შეტანის დროს. საკონსულოს მთავარე დაუყოვნებლივ მოგცემთ აშშ-ის მთავრობის გადახდის დამადასტურებელ ქვითარს. თუ თქვენ განაცხადი შეგაქვთ საიმიგრაციო ვიზის მოსაპოვებლად აშშ-ის საელჩოსა ან საკონსულოში, არავისთან არ გააგზავნოთ თანხა DV საკომისიოს გადასახდელად ფოსტით, Western Union-ით, ან ნებისმიერი სხვა მიწოდების სამსახურის საშუალებით.

თუკი თქვენ შეგარჩიეს და უკვე აშშ-ში ხართ და გეგმავთ განაცხადის შეტანას სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებით USCIS-ში, ინსტრუქციების გვერდი ხელმისაწვდომია Entrant Status Check-ის საშუალებით მისამართზე - www.dvlottery.state.gov და მოიცავს ცალკეულ ინსტრუქციას, როგორ გადავუგზავნოთ ფოსტით სტატუსის შეცვლის განცხადების საფასური აშშ-ის ბანკს.

34. თუ მე მიემართავ განცხადებით საიმიგრაციო ვიზის (DV) პროგრამას, მაგრამ ვერ მოვიპოვე ვიზის უფლებას, დამიბრუნდება თუ არა ჩემ მიერ გადახდილი სავიზო მოსაკრებელი?

არა. სავიზო აპლიკაციის მოსაკრებელი ვერ ანაზღაურდება. მოცემული ინსტრუქციების თანახმად, თუ საკონსულოს ოფიცერი გადაწყვეტს, რომ თქვენ ვერ აკმაყოფილებთ ვიზის მოსაპოვებლად აუცილებელ მოთხოვნებს, ან თქვენ სხვაგვარად არ ხართ უფლებამოსილი მოიპოვოთ საიმიგრაციო ვიზა DV-ის აშშ-ის კანონმდებლობის შესაბამისად, ოფიცერს არ შეუძლია ვიზის გაცემა და თქვენ დაკავრგავთ ყველა გადახდილი საკომისიოს.

გაფრთხილება საიმიგრაციო ვიზების გაყალბებისა და თაღლითობის შესახებ

35. როგორ შემიძლია განვაცხადო ინტერნეტ თაღლითობისა ან არასასურველი ელექტრონული ფოსტის შეტყობინებებისა და წერილების შესახებ?

გთხოვთ, ეწვიოთ, ვებ-გვერდს www.econsumer.gov, რომელსაც მომხმარებელთა უფლებების დაცვის 17 ქვეყნის სააგენტოსთან თანამშრომლობით მასპინძლობს ფედერალური სავაჭრო კომისია. თქვენ ასევე შეგიძლიათ, გაყალბების ფაქტების შესახებ შეატყობინოთ გამოძიების ფედერალურ ბიუროს (FBI) [ინტერნეტ დანაშაულებათა საჩივრების ცენტრს](#). საჩივრის შესატანად არასასურველი ელექტრონული შეტყობინებებისა და გზავნილებთან დაკავშირებით, ეწვიეთ იუსტიციის დეპარტამენტის [გვერდს „Contact Us“](#) (დაგვეკონტაქტეთ).

სტატისტიკური მონაცემები საიმიგრაციო DV ვიზასთან დაკავშირებით

36. რამდენი ვიზა გაიცემა DV-2018 პროგრამის ფარგლებში?

კანონის შესაბამისად, უფლებამოსილი მონაწილე პირებისათვის ყოველწლიურად ხელმისაწვდომია მაქსიმუმ 55000 ვიზა. თუმცა, 1997 წლის ნოემბერში, აშშ-ის კონგრესმა მიიღო ნიკარაგუას რეგულაცია და ცენტრალური ამერიკის დახმარების აქტი (NACARA), რომელიც განსაზღვრავს, რომ დაწყებული DV-1999-დან, და მანამ, სანამ ამის საჭიროება იარსებებს, ყოველწლიურად გამოყოფილი 55000 საიმიგრაციო DV ვიზიდან, 5000-მდე ვიზა ხელმისაწვდომი გახდება

გამოსაყენებლად NACARA-ს პროგრამაში. მოცემული ზღვრული რაოდენობის ფაქტიური შემცირება დაიწყო DV-2000-ის პროგრამის ფარგლებში და ძალაში ღარიბა DV-2019 პროგრამის მოქმედების განმავლობაშიც, ამგვარად, მხოლოდ 50000 საიმიგრაციო ვიზა რჩება მოცემული საიმიგრაციო DV საეიზო პროგრამაში, რომელიც აღწერილია მოცემულ ინსტრუქციაში.

სხვადასხვა

37. იმ შემთხვევაში, თუ მე მივიღებ ვიზას საიმიგრაციო ვიზის DV პროგრამის ფარგლებში, გაიღებს თუ არა აშშ-ის მთავრობა აშშ-ში ჩემი ავიაგზავრობის ხარჯებს, დამეხმარება თუ არა საცხოვრებლის პოვნასა და დასაქმებაში, და/ან უზრუნველყოფს თუ არა ჩემთვის სამედიცინო დახმარებას ან სხვა რაიმე სუბსიდიას, სანამ მე სრულად მოვეწყობი?

არა. აშშ-ის მთავრობა არ უზრუნველყოფს ამ მომსახურებიდან არცერთს, თუ თქვენ მიიღეთ ვიზა საიმიგრაციო ვიზის DV პროგრამის ფარგლებში. იმ შემთხვევაში, თუ თქვენ შერჩეული ბრძანდებით DV პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად, მოგიწევთ იმის ჩვენება, რომ ვიზის მიღებამდე თქვენ არ გახდებით სახელწიფოს კმაყოფიანე მყოფი პირი აშშ-ში. მოცემულის დამადასტურებელი მტკიცებულება უნდა წარმოადგინოთ თქვენი პირადი აქტივების, აშშ-ში მცხოვრები ნათესავის ან მეგობრის მიერ წარდგენილი ფინანსური მხარდაჭერის საბუთის (ფორმა I-134), შეერთებულ შტატებში მაცხოვრებელი დამსაქმებლისაგან სამუშაოს შემოთავაზების დამადასტურებელი დოკუმენტით, ან სხვა მტკიცებულებების კომბინაციის სახით.